**მოწვევა პრეკვალიფიკაციაზე**

კომუნალური ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება ყაზბეგის მუნიციპალიტეტში, საქართველო

ICB ნომერი: KAZ-1

**BMZ ნომერი: 201768332 / KfW შესყიდვის ნომერი: 511158**

**კონტრაქტის დასახელება: ყაზბეგის მუნიციპალიტეტში**

**წყალმომარაგების, წყალარინების, სანიაღვრე სისტემების მშენებლობა და გზის რეაბილიტაციის სამუშაოების პაკეტი**

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ გერმანიის მთავრობისაგან KfW-ს საშუალებით მიიღო სახსრები გარემოსა და ტურიზმის გაუმჯობესების კომუნალური ინფრასტრუქტურის პროექტის ფარგლებში. მთლიანი პროექტი გაყოფილია ორ ლოტად და გულისხმობს კომუნალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციასა და მშენებლობა საქართველოს 4 მუნიციპალიტეტში, კერძოდ ბაღდათში, ვანში, სამტრედიასა (ლოტი-2) და ყაზბეგში (ლოტი-1). შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“ (წყალმომარაგების კომპანია) პროექტის აღმასრულებელი ორგანოა და იღებს დასაშვები პრეტენდენტების დალუქულ წინადადებებს სამშენებლო სამუშაოების განხორციელების მიზნით.

პირველი ლოტის ფარგლებში შესასყიდია წყლისა და წყალარინების გამწმენდი და გამტარი ინფრასტრუქტურის საპროექტო-სამშენებლო სამუშაოები. ამ სამუშაოების ფარგლებში გატენდერდება წყალმიმღების, წყლისა და წყალარინების გადამქაჩი და გამტარი, სანიაღვრე წყლების ობიექტები, გზის რეაბილიტაციისა და გაფართოების სამუშაოები.

სამუშაოების აღნიშნულ პაკეტში კონტრაქტორმა დამკვეთის პროექტის მიხედვით უნდა ააშენოს ქვემოთ ჩამოთვლილი ინფრასტრუქტურა, რომლის შესახებაც კონტრაქტი გაფორმდება FIDIC-ის ვარდისფერი წიგნით:

სექცია 1 - წყალმომარაგება:

- ჩხერის წყალმიმღების (წარმადობა 50 ლ/წმ) რეაბილიტაცია და წყლის მაგისტრალური მილი წყლის ახალ გამწმენდ ნაგებობამდე, სტეფანწმინდის რეზერვუართან (6.5 კმ - DN 200).

სექცია 2 - წყალარინება:

- გერგეტისა და სტეფანწმინდის კანალიზაციის ქსელები (8.2 კმ - დიამეტრებით 200-დან 300-მდე);
- წყალარინების გამწმენდი ნაგებობის კოლექტორი (1.100 კმ - დიამეტრი 400);
- 8 სატუმბო სადგური და შესაბამისი მილგაყვანილობა DN 150-250 – 1.000 კმ.

სექცია 3 - სანიაღვრე წყლები და ჩაშვება:

- სადრენაჟო მილები (0.5 კმ - დიამეტრი 00);
- ახალი კულვერტების მშენებლობა DN 500 და 800 – 0.2 კმ.

სექცია 4 - გზები:

- გზის რეაბილიტაცია და გაფართოება (6.5 კმ), მათ შორის, გზის განათება, ბილიკები, კანალიზაციისა და სანიაღვრე წყლების მილები.

სამუშაოები უნდა დასრულდეს 24 თვის განმავლობაში პლუს 12 თვე დეფექტების ცნობის პერიოდისათვის.

ტენდერი ჩატარდება საერთაშორისო კონკურენტუნარიანი ტენდერის (ICB) პროცედურით, ორ ეტაპად, KfW-ს საქონლის, სამუშაოებისა და შესაბამისი მომსახურებების სახელმძღვანელო პრინციპების შესაბამისად. პრეტენდენტები, რომლებიც მოხვდებიან მოკლე სიაში, წარმოადგენენ თავიანთ ტექნიკურ და ფინანსურ წინადადებებს.

პრეკვალიფიკაციის ეტაპი ღიაა ადგილობრივი და საერთაშორისო პრეტენდენტებისათვის.

იმისათვის, რომ პრეტენდენტმა შეძლოს ტენდერში მონაწილეობის მიღება, პრეტენდენტმა (ცალკე ან ერთობლივი საწარმოს ფარგლებში) უნდა დაამტკიცოს, რომ აქვს საკმარისი ფინანსური და ადამიანური რესურსები ასევე რეგიონში ან მსგავს გარემოში მშენებლობის გამოცდილება და დააკმაყოფილოს შემდეგი კრიტერიუმები:

- მინიმალური წლიური სამშენებლო ბრუნვა 7,500,000 ევროს ოდენობით (შვიდასი მილიონ ხუთასი ათასი ევრო) გასული სამი (3) წლის განმავლობაში;
- მშენებლობის ზოგადი გამოცდილება ძირითადი კონტრაქტორის, ერთობლივი საწარმოს წევრის, ქვეკონტრაქტორის ან მმართველი კონტრაქტორის რანგში გასული სამი (3) წლის განმავლობაში 2021 წლის 1 იანვრიდან;
- წყალმომარაგების, წყალარინების, სანიაღვრე წყლების სისტემებისა და გზების მშენებლობის მსგავსი კონტრაქტები დამაკმაყოფილებელ დონეზე და არსებითად შესრულებული უნდა ჰქონდეს ძირითადი კონტრაქტის, ერთობლივი საწარმოს წევრი, მმართველი კონტრაქტორის ან ქვეკონტრაქტორის რანგში 2019 წლის 1 იანვრისა და 2024 წლის 1 იანვრის პერიოდს შორის; კონტრაქტი მინიმალური ღირებულება 6,500,000 ევრო (ექვსი მილიონ ხუთასი ათასი ევრო);
- სამშენებლო გამოცდილება შემდეგი ძირითადი აქტივობების ფარგლებში, რომლებიც შესრულებულია 2019 წლის 1 იანვრისა და 2024 წლის 1 იანვრის პერიოდს შორის:
    - სასმელი წყლის მოპოვებისათვის წყალმიმღების (მინიმალური წარმადობით 45 ლ/წმ) მშენებლობის ან რეაბილიტაციის სულ მცირე ერთი (1) კონტრაქტი;
    - წყალარინების შემკრები სისტემების, მათ შორის, მინიმუმ 5 კმ სიგრძის ქსელის, მინიმუმ 1 კმ სიგრძის მთავარი კოლექტორისა და სატუმბი სადგურების მშენებლობის სულ მცირე ერთი (1) კონტრაქტი;
    - მინიმუმ 20,000 კვ. მ. გზის მშენებლობის და/ან რეაბილიტაციის სულ მცირე ერთი (1) კონტრაქტი.

დაინტერესებულ, დასაშვებ პრეტენდენტებს შეუძლიათ, მიიღონ დამატებითი ინფორმაცია შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიისაგან“; ბ-ნ გუგა კაკაბაძე (წყალმომარაგების კომპანიის დირექტორის მოადგილე), email: Info.procurement@water.gov.ge ასლი: e.piranishvili@water.gov.ge.

პრეკვალიფიკაციის დოკუმენტაციის სრული კომპლექტის მოთხოვნა შეიძლება ქვემოთ მითითებული საკონტაქტო პირისაგან. დოკუმენტაციის კომპლექტი უფასოდაა ხელმისაწვდომი ინგლისურ ენაზე დაინტერესებული პრეტენდენტებისათვის.

წინადადებები წარმოდგენილი უნდა იყოს ერთი (1) დედანი პირის პლუს ერთი (1) ბეჭდური პირის სახით და ერთი (1) ელექტრონული პირის სახით ინგლისურ ენაზე ქვემოთ მითითებულ მისამართზე.

წინადადებები წარმოდგენილი უნდა იყოს პრეკვალიფიკაციის დოკუმენტაციის ITA 17.1 მუხლში მითითებულ მისამართზე 2024 წლის 28 მაისს ან 28 მაისამდე, 14:00 სთ-ზე თბილისის დროით (GMT + 4). დაგვიანებული წინადადებები არ მიიღება. მხოლოდ ელექტრონული ფორმით წარმოდგენილი წინადადება არ დაიშვება და იქნება უარყოფილი.

საკონტაქტო დეტალები (ხსენებულია ზემოთ):

შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“

ანა პოლიტკოვსკაიას ქ. 5, თბილისი, 0186, საქართველო

ადრესატი: ბ-ნ გუგა კაკაბაძე, დირექტორის მოადგილე

Email: Info.procurement@water.gov.ge; ასლი: e.piranishvili@water.gov.ge